

ნინო ლაბარტყავა

როგორ შევადგინოთ პედაგოგიური ტესტები

შეფასება სწავლების პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. სწავლების პროცესში მასწავლებლებს შეფასების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება უხდებათ, მათ შორის ტესტის, რომლის შემუშავებას, გამოყენებას და შედეგების სწორ ინტერპრეტაციას გარკვეული გამოცდილება სჭირდება. სტატიაში გაგაცნობთ პედაგოგიური ტესტის შედგენისთვის საჭირო რეკომენდაციებს.

პედაგოგიური ტესტირების მიზანი პედაგოგიური კონტროლია. პედაგოგიურ კონტროლს, თავის მხრივ, ოთხი ძირითადი ფუნქცია აქვს: დიაგნოსტიკური, სწავლების, მარგანიზებელი და აღმზრდელი.

დიაგნოსტიკური ფუნქცია – ეს ფუნქცია კონტროლს უკავშირდება. მისი მეშვეობით მოწმდება ათვისებული ცოდნა, დაუფლებული უნარები.

სწავლების ფუნქცია – ტესტირება მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს, მიიღოს უკუკავშირი მოსწავლეებისგან, გამოავლინოს სუსტად ათვისებული მასალა და დაგეგმოს შემდგომი მუშაობა. ტესტირება მნიშვნელოვანია მოსწავლეებისთვისაც, ვინაიდან მათ შეუძლიათ იმის შეფასება, თუ სად აქვთ ხარვეზები და რა აქვთ უკეთ სასწავლი.

მარგანიზებელი ფუნქცია – ტესტირება მთელ სასწავლო პროცესზე ახდენს გავლენას. ტესტირების შედეგებიდან გამომდინარე, იგეგმება დამატებითი მეცადინეობები და კონსულტაციები, ვლინდება ის, თუ რომელ მოსწავლეს სჭირდება დახმარება, ხდება წარმატებული მოსწავლეების წახალისება და ა.შ. ტესტირების შედეგები ინფორმაციას აწვდის პედაგოგს იმის შესახებ, თუ სწავლების რა მეთოდები თუ ხერხები უწყობს ხელს მოსწავლეთა დაინტერესებას, მათი მოტივაციის გაზრდას, მასალის ათვისებას, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას და ა.შ. ამდენად, ტესტირება მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ორგანიზებისათვის.

აღმზრდელი ფუნქცია – კარგად ორგანიზებულ პედაგოგიურ კონტროლს აღმზრდელი ფუნქცია აქვს. ცოდნის შემოწმება ხელს უწყობს ცოდნის სრულყოფას.

ტესტირებას, როგორც შეფასების მეთოდს, თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები აქვს.

ტესტირების ძლიერი მხარეები

- ტესტირება შეფასების სამართლიანი მეთოდია. შეფასების დროს ყველა მოსწავლე თანაბარ პირობებშია, გამორიცხულია პედაგოგის სუბიექტურობა;
- ტესტირება საშუალებას გვაძლევს, გავიგოთ, თუ როგორ დაძლია თითოეულმა მოსწავლემ მთელი მასალა და არა მხოლოდ მასალის გარკვეული ნაწილი.
- ტესტირება ეფექტურია ეკონომიის თვალსაზრისითაც: ტესტირებით შესაძლებელია მოკლე დროში დიდი ჯგუფის შეფასება.

ტესტირების სუსტი მხარეები

- კარგი ტესტის შემუშავება ხანგძლივი და შრომატევადი პროცესია;
- ტესტირების პროცესი დროში შეზღუდულია, რაც არ იძლევა საკითხებში ჩაღრმავების შესაძლებლობას;
- ტესტირებას თან ახლავს შემთხვევითობის ელემენტი. შესაძლებელია მოსწავლემ, უბრალოდ, გამოიცნოს სწორი პასუხი;
- ტესტირება ნაკლებად გვაძლევს მაღალი შემოქმედებითი უნარების შეფასების შესაძლებლობას;
- ტესტირების პროცესში მოსწავლის ინდივიდუალური სწავლის სტილის გათვალისწინება ძნელია;
- მართალია, ტესტირებიდან მიღებული ინფორმაცია შესაძლებლობას გვაძლევს, გავიგოთ, თუ მასალის რა ნაწილი ვერ დაძლია ჯგუფის უმრავლესობამ, მაგრამ ის არ გვაძლევს ინფორმაციას მიზეზების შესახებ;
- გასათვალისწინებელია, რომ ტესტის შედეგზე შეიძლება გავლენა მოახდინოს მოსწავლის მოტივაციამ ან მისმა ემოციურმა მდგომარეობამ.

ტესტის შემუშავება მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

1. სასწავლო მიზნების ფორმულირება;
2. ტესტური პროექტის (მატრიცის) შედგენა;
3. ტესტური დავალებების შედგენა;
4. ტესტური დავალებების განხილვა და შეფასება;
5. ტესტის საბოლოო ვარიანტის შექმნა.

ტესტის შედგენამდე განსაზღვრული უნდა იყოს საგნის სასწავლო მიზნები, რათა შესაფასებელ მასალას ტესტი სწორად მოვარგოთ.

სასწავლო მიზანი სწავლების პროცესის აუცილებელი კომპონენტია. სასწავლო მიზანი განსაზღვრავს, თუ რა უნდა ვასწავლოთ მოსწავლეებს და რა უნდა შეეფასოს. სასწავლო მიზნის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია, რომ ორ ან მეტ მასწავლებელს უნდა შეეძლოს დაკვირვება და შეფასება: როგორ ასრულებს მოსწავლე სხვადასხვა აქტივობას. სასწავლო მიზანი დაკავშირებული უნდა იყოს შემდეგ საქმიანობებთან: ათვისებული მასალის *ჩამოთვლა, გახსენება, დაკავშირება და ა.შ.*

სასწავლო მიზნის განსაზღვრისას, უმთავრესად, ბენჟამენ ბლუმის მიერ 1950-იან წლებში შემუშავებულ სასწავლო მიზნების იერარქიას ეყრდნობიან. როგორც ცნობილია, ბენჟამენ ბლუმის სასწავლო მიზნების ტაქსონომია ცოდნის ექვს დონეს მოიცავს: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი, შეფასება. ის საკმაოდ ფართოდაა განხილული პედაგოგთათვის გათვალისწინებულ მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოებში და მასზე ყურადღებას აღარ გავამახვილებთ.

მას შემდეგ, რაც ზუსტად განვსაზღვრავთ სასწავლო მიზანს, ვადგენთ ტესტურ პროექტს (მატრიცას).

ტესტურ პროექტს ადგენს საგნის მასწავლებელი ან მასწავლებელთა ჯგუფი. მასში შედის შემდეგი კომპონენტები:

1. **შინაარსი** – ტესტურ პროექტში უნდა შევიდეს იმ თემების ჩამონათვალი, რომლების შეფასებასაც ვაპირებთ და ჩვენთვის მნიშვნელოვანი მიზნები.
2. **კატეგორიები** – გეგმაში უნდა აისახოს, რა უნარებს და რა დონეზე ვზომავთ; შეიძლება ტესტის გარკვეული ნაწილით ვზომავდეთ ცოდნის დონეს, შემდეგი ნაწილით – ანალიზის დონეს და ა.შ. ტესტის აგებამდე უნდა ვიცოდეთ, სხვადასხვა უნარის წონა (პროცენტული წილი) საერთო ტესტში. გარდა ამისა, უნდა განისაზღვროს, რომელი დონისათვის რამდენი დავალება გვჭირდება.
3. **ტესტური დავალებების რაოდენობა** – უნდა განვსაზღვროთ, რამდენი დავალება გვჭირდება თითოეული კატეგორიის სათანადოდ გასაზომად.
4. **ასაკობრივი ჯგუფი**, რომელსაც ვუტარებთ ტესტირებას. მაგ., თუ ტესტი დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის არის განკუთვნილი, მასში არ უნდა იყოს ძალიან გრძელი ინსტრუქციები. გარდა ამისა, დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის ყველა ტიპის ტესტური დავალებების მიცემა მიზანშეწონილი არ არის.

ზოგადად, ტესტური დავალებები შეიძლება დავყოთ ორ დიდ ჯგუფად. პირველ ჯგუფში შედის ის დავალებები, რომლებსაც სწორი პასუხების შერჩევა სჭირდება, ხოლო მეორე ჯგუფში – ის დავალებები, რომლებიც პასუხის აგებას, შედგენას ითხოვს. პირველ ჯგუფს დახურული ტიპის ტესტურ დავალებებს უწოდებენ, ხოლო მეორე ჯგუფს – ღია ტიპის ტესტურ დავალებებს.

ამ სტატიაში მხოლოდ დახურული ტიპის ტესტურ დავალებებს შევხებით. ასეთი დავალების ტიპებია: "ჭეშმარიტია/მცდარია" ტიპის დავალება, ტესტური დავალება მრავალი არჩევითი პასუხით, ტესტური დავალება, რომელიც შესაბამისობის დადგენას გულისხმობს, ტესტური დავალება, რომელიც სწორი თანმიმდევრობის დადგენას გულისხმობს.

ტესტური დავალებების შერჩევა დამოკიდებულია საგნის შინაარსსა და ტესტირების მიზანზე. სასურველია, ტესტური დავალებები იმგვარად იყოს შერჩეული, რომ ზომავდეს არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას, არამედ საზოგადოებრივ უნარებსაც.

"ჭეშმარიტია-მცდარია" ტიპის ტესტური დავალება – ასეთ დავალებას ორი შესაძლო პასუხი აქვს. ამ შემთხვევაში, მოსწავლემ უნდა შეაფასოს მტკიცებულების ჭეშმარიტება ან მცდარობა. ტესტურ დავალებას თან ახლავს ინსტრუქცია: "შემოხაზეთ სწორი პასუხი".

როდის გამოიყენება: "ჭეშმარიტია-მცდარია" ტიპის დავალება, ჩვეულებრივ, მაშინ გამოიყენება, როდესაც დიდი მოცულობის მასალის ცოდნა დროის მცირე მონაკვეთშია გადასამოწმებელი და ისეთ დებულებებს, მტკიცებულებებს ვამოწმებთ, რომელთაც ორი ლოგიკური პასუხი აქვთ.

დავალების ძლიერი მხარეები

- ასეთი ტესტი, ჩვეულებრივ, მოკლეა და მის შევსებას დიდი დრო არ სჭირდება; მოსწავლეს 1 წთ-ის მანძილზე დაახლოებით 3-4 კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლია;
- ასეთი ტესტი სწრაფი დიაგნოსტიკის საუკეთესო საშუალებაა;
- იოლია დაგროვილი ქულების დათვლა.

დავლების სუსტი მხარეები

- სწორი პასუხის გამოცნობის ალბათობა 50%-ია.
- ასეთი ტესტური დავლება ვერ ზომავს მაღალი დონის სააზროვნო უნარებს;
- მიჩნეულია „იოლ“ ტესტად, რომლის საფუძველზეც მნელი სათქმელია, ერთმა მოსწავლემ მეორეზე რამდენად კარგად იცის მასალა;
- სანდოობისათვის საჭიროა დიდი რაოდენობით დავალებების შედგენა.

ტესტური დავლება მრავალი არჩევითი პასუხით – ასეთი ტიპის დავლება ორი ნაწილისაგან შედგება: პირობის, რომელიც ჩამოყალიბებულია შეკითხვის ან მტკიცებულების სახით და პასუხების ვარიანტებისაგან, საიდანაც მოსწავლემ სწორი პასუხი უნდა აირჩიოს. სავარაუდო პასუხების რაოდენობა, ძირითადად, ოთხი ან ხუთია. დავალებას თან ახლავს ინსტრუქცია: ”შემოხაზეთ სწორი პასუხი“. საბოლოოდ, მოსწავლეების პასუხებს სწორ პასუხებს ადარებენ და ქულებს ასე ითვლიან.

როდის გამოიყენება – ტესტური დავლება მრავალი არჩევითი პასუხით გამოიყენება მაშინ, როდესაც გვსურს, შევავსოთ მოსწავლის მომზადება, ფაქტობრივი ცოდნიდან დაწყებული შეფასებით დამთავრებული. ასეთ დავალებებს, უმეტესწილად, მაღალ კლასებში იყენებენ. დაწყებით კლასებში, წინასწარი გავარჯიშების გარეშე, მათმა გამოყენებამ შეიძლება მოსწავლე დააბნოს.

ძლიერი მხარეები

- მოსახერხებელია მიზნების გასაზომად ყველა კოგნიტურ საფეხურზე (ცოდნიდან – შეფასებამდე);
- დიდი მოცულობის მასალის შემოწმება შეიძლება შედარებით მცირე ზომის ტესტით;
- ქულების მინიჭება ადვილი და ობიექტურია;
- პასუხების შემთხვევითი გამოცნობის ალბათობა მცირეა.

სუსტი მხარეები

- ასეთი დავალების შედგენას სჭირდება დიდი დრო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გვინდა მაღალი დონის უნარების შეფასება;
- რთულია პასუხების ფორმულირება;
- თუ ტესტი ყურადღებით არ არის შედგენილი, შეიძლება მას ერთზე მეტი სწორი პასუხი ჰქონდეს.

ტესტური დავალება, რომელიც შესაბამისობის დადგენას გულისხმობს – ასეთ დავალებაში მოსწავლემ შესაბამისობა უნდა აღმოაჩინოს ტესტში მოცემულ პირობასა და პასუხებს შორის. ეს დახურული ტიპის დავალების მოდიფიკაციაა, რომელსაც რამდენიმე არჩევანი აქვს. შესაძლებელია, პირობებისა და პასუხების რაოდენობა თანაბარი იყოს, თუმცა შემთხვევითი გამოცნობის თავიდან აცილების მიზნით, სასურველია, პირობები სავარაუდოდ პასუხების რაოდენობაზე ნაკლები იყოს.

როდის გამოიყენება – ასეთი ტიპის დავალება გამოიყენება მაშინ, როდესაც გვინდა მოვლენებს შორის კავშირების ცოდნისა და გააზრების გადამოწმება. ის ცხრილის სახით არის ხოლმე მოცემული. ერთ სვეტში წერია პირობები, მეორე სვეტში კი – პასუხები. ტესტს თან ერთვის ინსტრუქცია: რის გაკეთება ევალება მოსწავლეს. ამგვარი ტესტი საუკეთესოა შემდეგი ტიპის მიმართებების დასამყარებლად: ისტორიული მოვლენები და თარიღები; ელემენტები და სიმბოლოები; ტერმინები და განმარტებები; მთელი და მისი შემადგენელი ნაწილები; მიზეზები და შედეგები; დიაგრამები, ნახატები და მათი ინტერპრეტაციები.

ძლიერი მხარეები

- შესაძლებელია ცოდნის გადამოწმება ნებისმიერ სფეროში;
- ადვილია ასეთი ტიპის ტესტების ქულების დათვლა;
- მოსახერხებელია ამგვარი დავალებების გამოყენება, როდესაც გვინტერესებს ფაქტებს შორის ასოციაციის გაგება;
- თუ ტესტი სწორად არის აგებული, დაბალია სწორი პასუხის შემთხვევითი გამოცნობის ალბათობა.

სუსტი მხარეები

- ასეთი დავალებები, უმეტესწილად, მეხსიერებაზეა ფოკუსირებული.

ტესტური დავალება, რომელიც სწორი თანმიმდევრობის დადგენას გულისხმობს – ტესტური დავალების ეს ტიპი გამოიყენება მოვლენების, პროცესების თანმიმდევრობის ცოდნის შესამოწმებლად. დავალებაში შემთხვევითი თანმიმდევრობით ჩამოთვლილია გარკვეული მოქმედებები, პროცესები, ელემენტები და მოსწავლეს მოეთხოვება მათი გარკვეული პრინციპით დალაგება. მსგავსი ტიპის დავალებებს თან ერთვის შემდეგი სახის ინსტრუქცია: “დაალაგეთ სწორი თანმიმდევრობით”.

როდის გამოიყენება – ასეთი სახის დავალება იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც გვინდა, გავარკვიოთ, რამდენად კარგად იცის მოსწავლემ გარკვეული მოვლენებისა თუ პროცესების თანმიმდევრობა.

ძლიერი მხარეები

- ასეთი ტიპის ტესტური დავალების შესრულებისას მოსწავლე იხსენებს არა მხოლოდ მასალას, არამედ იყენებს ანალიზისა და სინთეზის უნარებსაც.

სუსტი მხარეები

- რთულია ყველა საგანში ამ სახის დავალების შედგენა. ზოგ საგანში საერთოდ არ მიმართავენ ასეთ ტესტურ დავალებას.

ტესტის მონაცემების ინტერპრეტაცია შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია. ტესტს სწორედ იმისათვის ვიყენებთ, რომ მიღებული შედეგების საფუძველზე მოსწავლეთა შეფასება შევძლოთ.

ტესტირების ჩატარების შემდეგ მნიშვნელოვანია მოსწავლეთათვის ტესტის შედეგების გაცნობა.

ტესტის მონაცემების ანალიზისათვის მიზანშეწონილია ცხრილის შედგენა, სადაც თითოეული მოსწავლის სწორი და არასწორი პასუხები აღინიშნება.

მაგალითად, სქემა 1; მოცემულია 5 მოსწავლის შეფასება 20-კითხვიანი ტესტის მიხედვით. ცხრილის ბოლოში მოცემულია მოსწავლეთა საერთო შეფასება, რომლის მიხედვით ვასკვნით, რომ ყველაზე დაბალი (10 ქულა) პირველ, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა (17 ქულა) მეოთხე მოსწავლეს აქვს.

სქემა 1. ქულების მატრიცა

მოსწავლის ვლის	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	სწორი პასუხების რაოდენობა	სწორი პასუხების პროცენტი	
1	1	1	1	0	1	0	1	0	0	1	1	1	0	1	0	1	0	0	0	0	0	10	65%
2	1	0	0	1	1	1	1	1	1	1	0	0	1	1	1	1	0	1	1	0	0	14	70%
3	0	1	1	1	1	1	0	0	1	0	1	1	1	1	1	0	0	1	1	0	0	13	65%
4	1	1	1	1	1	1	0	1	1	1	1	1	1	1	1	0	0	1	1	1	1	17	85%
5	1	0	0	1	1	1	0	1	1	1	0	0	1	1	1	0	0	1	0	0	0	11	55%
N	80%	80%	80%	80%	100%	80%	40%	60%	80%	60%	60%	60%	80%	100%	80%	40%	0%	80%	60%	20%	65%	65%	65%

მოცემული ცხრილი საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ, თუ მოსწავლეთა რა პროცენტმა შეასრულა სწორად დავალება. ცხრილის ბოლოში მოცემული მონაცემები საინტერესოა მასწავლებლისათვის, სკოლისათვის.

თუ დავალებას მოსწავლეთა 75% სწორად შეასრულებს, მაშინ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ მასალა ათვისებულია. თუ დავალებას მოსწავლეთა უმრავლესობა არასწორად შეასრულებს, მაშინ კლასთან ერთად ტიპური შეცდომების გაანალიზებაა აუცილებელი. ტესტური დავალებები არ უნდა იყოს ძალიან მარტივი ან ძალიან რთული. თუ ყველა მოსწავლე 100%-ით ასრულებს ტესტს, ასეთი ტესტი მოსწავლეებს შორის დიფერენციაციის შესაძლებლობას არ მოგვცემს; მეორე მხრივ, თუ ვერცერთი მოსწავლე ვერ ასრულებს ტესტს, ეს იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეებს ეს ცოდნა და უნარები ათვისებული არ აქვთ. თუ შედგენილ ტესტს მოსწავლეთა 70%-ზე ნაკლები ასრულებს, ასეთ შემთხვევაში, ტესტი გადასახედია.

